

## საქართველოს კანონი

### „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N 31, 27.06.2005, მუხ. 188) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“

2. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.“

3. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:

„1<sup>1</sup> სააგენტოს რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.“

4. ამოღებულ იქნას კანონის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტი.

მუხლი 2.

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.

2. დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფლებამონაცვლეს.

3. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების გადაცემა პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის. ”

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

A handwritten signature in black ink, appearing to be 'M. Saakashvili', located in the bottom right corner of the page.